



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება



№ 00009624



17/10/2022

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ 2022 წლის 17 ოქტომბრის N9592 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოადგენილია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა, რის გამოც საჭიროა მისი დამტკიცება. ამასთან, "შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2022 წლის 17 ოქტომბრის N00009593 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და საჭიროა მისი ძალადაკარგულად გამოცხადება.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების და კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის 2022 წლის 17 ოქტომბრის N9592 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა დაწარმის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2022 წლის 17 ოქტომბრის N00009593 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი რუსუდან



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

მის.: ქ.გორი ცხინვალის გზ. N 9 ს/კ417878130

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

დირექტორი:

რუსუდან სუხიშვილი

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

ვლადიმერ ახოზაძე

გორი 2022 წელი

მენეჯმენტის ვალდებულება

უსაფრთხოების პოლიტიკა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი აბგი (შემდგომში კოლეჯი) დიდ ყურადღებას უთმობს თანამშრომლების და მოსწავლეების უსაფრთხოებას. კოლეჯი მოწოდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო და სასიამოვნო სამუშაო გარემო ყველა თანამშრომლისათვის და სასიამოვნო სასწავლო პროფესი პროფესიული განათლების მოსწავლეებისათვის, კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავა აღნიშნული პოლიტიკა გაუთვალისწინებელი და ზიანის მომტანი შემთხვევების პრევენციისათვის, რათა მოხდეს მენეჯმენტის, ზედამხედველი რგოლისა და თანამშრომელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დროს მოსალოდნელი საფრთხეების აღმოფხვრის მიზნით.

კოლეჯის უსაფრთხოების ძირითადი პოლიტიკა არის ის, რომ თანამშრომელმა შრომის უსაფრთხოებისა ან ჯანმრთელობის დაცვის წესების დარღვევის ფასად არ შეასრულოს სამუშაო, რამდენადაც ღირებული არ უნდა იყოს იგი კომპანიისთვის და არ დაიყენოს თავი და სტუდენტები ტრამვის ან პროფესიული დაავადებების მიღების რისკის ქვეშ.

კოლეჯში დასაქმებულები ვალდებული არიან შეასრულონ კომპანიის უსაფრთხოების დაცვის წესების ყველა მთხოვნა და თავიანთი აქტიურობით ხელი შეუწყონ კოლეჯს, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში.

ხელმძღვანელი რგოლი პასუხს აგებს თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებული არიან ყოველდღიურად შეამოწმონ/შეაფასონ სამუშაო ადგილის უსაფრთხოება, დააკვირდნენ თანამშრომელთა არაუსაფრთხო ქმედებებს და დაუყოვნებლივ განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები არსებული ან მოსალოდნელი საფრთხეების აღმოსაფხვრელად.

მმართველი რგოლი ვალდებულია ხელი შეუწყოს დასაქმებულებს, გაუმჯობესონ სამუშაო გარემო, გამოიჩინონ ახალი ინიციატივები სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ჩვენ შევიმუშავებთ საფრთხის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის სისტემას. ჩვენ ვუზრუნველვყოფთ თანამშრომელთათვის საწყისი და მიმდინარე ტრენინგების ჩატარებას. ჩვენ შევიმუშავებთ დისციპლინირებულ პოლიტიკას, რათა მკაცრად იქნეს დაცული უსაფრთხოების პოლიტიკა.

კოლეჯის ძალისხმევას - მოდით ყველამ ერთად ვიმუშაოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

დამსაქმებლის პასუხისმგებლობა

- ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;
- ბ) იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სასწავლო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიაღწეს;
- გ) უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და მოსწავლეების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;
- დ) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;
- ე) უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება;
- ვ) რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით:
- ვ.ა) შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება;
- ვ.ბ) უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს შემდეგი ფაქტორები:
- ზ.ა) ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, არამაიონებელი გამოსხივება, მაიონებელი გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, ვიბრაცია, უპირატესად ფიზროგენული მოქმედების აეროზოლები (მტვერი), განათება, აეროიონები, ელექტრომაგნიტი);
- ზ.ბ) ქიმიური ფაქტორები (მათ შორის, ქიმიური სინთეზით მიღებული, ბიოლოგიური ბუნების მქონე ზოგიერთი ნივთიერება (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები) ან/და ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის ქიმიური ანალიზის და დეტექციის მეთოდები გამოიყენება);
- ზ.გ) ბიოლოგიური ფაქტორები;
2. საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია:
- ა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;

ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის

უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ;

დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

3. დამსაქმებელმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სწავლების (ტრენინგების) ჩატარება უნდა უზრუნველყოს:

ა) დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;

ბ) დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;

გ) ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;

დ) განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.

4. საწარმოს სიდიდისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს, დასაქმებულთა წარმომადგენელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და

სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება:

ა) პროფესიულ რისკებსა და მავნე საწარმოო ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან, და დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენას, აგრეთვე მათგან თავის დაცვის მექანიზმებს;

ბ) რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები, და რისკების შედეგების შეფასებას, მათ შორის, დამსაქმებლის მიერ მიღებულ შრომის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომებს;

გ) საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში;

დ) აკრძალვებს, რომლებიც დაკავშირებულია იქ ყოფნასთან და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

ე) გარკვეული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვებს.

5. დამსაქმებელმა არ უნდა დაასაქმოს 18 წლამდე პირი (არასრულწლოვანი) ისეთ სამუშაოზე, რომელმაც, მისი შესრულების ხასიათის ან გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ პირის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ვალდებულებები:

1. დარწმუნდით, რომ ყველა თანამშრომელმა, რომლებსაც თქვენ აკონტროლებთ მიიღეს შესაბამისი ინსტრუქცია.
2. დარწმუნდით, რომ თანამშრომლებს, რომლებსაც თქვენ აკონტროლებთ, გააჩნიათ შესასრულებელი სამუშაოს მიმართ სათანადო გამოცდილება ან გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლებები უსაფრთხოების მიმართულებით.
4. გარკვეული პერიოდულობით განახორციელეთ სასწავლო ზონების შემოწმება უსაფრთხოების მიზნით. არსებული საფრთხეების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოსწორეთ ისინი.
5. ყურადღება მიაქციეთ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც თქვენ აკონტროლებთ. სწრაფად აღკვეთეთ და გამოსწორეთ ნებისმიერი არაუსაფრთხო მოქმედებები. საჭიროების შემთხვევაში მოახდინეთ ხელახალი დატრენინგება და გაატარეთ მკორექტირებელი ღონისძიებები. თანამშრომელთა საქმიანობის ხარისხის შეფასება.
6. თანამშრომლებისათვის შეიმუშავეთ მაგალითები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა უსაფრთხოების ზომებს. დაესწარით საჭირო ტრენინგებს.
7. შეისწავლეთ ყველა ინციდენტი თქვენს ტერიტორიაზე და შედეგები აცნობეთ მენეჯმენტს, ასევე დაგეგმეთ უსაფრთხოების ზომები ინციდენტების თავიდან ასაცილებლად.
8. ესაუბრეთ მენეჯმენტს საჭიროების შემთხვევაში სამუშაო პრაქტიკის ან აღჭურვილობის ცვლილებების შესახებ, რაც გააუმჯობესებს თანამშრომელთა უსაფრთხოებას.

დასაქმებულთა მოვალობები

1. დაიცავით ამ დოკუმენტში მოცემული შრომის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, ასევე გაითვალისწინეთ ტრენინგებით მიღებული გამოცდილება.
2. სასწავლო პროცესის დაწყების წინ მოახდინეთ უშუალოდ საკლასო გარემოს შესწავლა და რისკებისა და საფრთხეების შეფასება. დაუყოვნებლივ შეატყობინეთ არაუსაფრთხო გარემოს შესახებ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს.
3. შეატყობინეთ თქვენს ხელმძღვანელობას ნებისმიერი საფრთხის ან დაზიანების შესახებ, იმისდამიუხედავად თუ რამდენად სერიოზულია იგი.
4. აცნობეთ თქვენს ხელმძღვანელობას ნებისმიერი გაუთვალისწინებელი შემთხვევის შესახებ.
5. იყავით მაგალითი თქვენი თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით.
6. უსაფრთხოების უკეთ დაცვისათვის შეიმუშავეთ შესაბამისი წინადადებები და აცნობეთ თქვენს ხელმძღვანელობას.
7. კოლეჯის მენეჯმენტის მიერ დადგენილი შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების არ შესრულების შემთხვევაში, გამოიიყენებულ იქნება ადმინისტრაციული ზომები.

თანამშრომელთა ჩართულობა

კონსულტაციები და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა მონაწილეობა

1. დამსაქმებელმა გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულების ან/და დასაქმებულთა წარმომადგენლის მონაწილეობა, რაც გულისხმობს:
 - ა) დასაქმებულებთან კონსულტაციებს;
 - ბ) დასაქმებულის ან დასაქმებულთა წარმომადგენლის უფლებას, მოახდინოს შრომის უსაფრთხოების შესახებ წინადადების ინიცირება;
 - გ) დაბალანსებულ მონაწილეობას.
2. შრომის უსაფრთხოების ახალი ღონისძიებათა სისტემის ინიცირებისას კომპანიის მენეჯმენტი იღებს ვალდებულებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან გაიაროს კონსულტაცია.
3. სამუშაო პროცესის, სამუშაოს შინაარსის ან ორგანიზების ისეთი ცვლილების დაგეგმვისას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დასაქმებულის შრომის უსაფრთხოებაზე, ორგანიზაციის მენეჯმენტი ვალდებულია შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან გაიაროს კონსულტაცია.

საფრთხის აღმოჩენა

ჩაწერა შენახვა და განხილვა

კოლეჯის თანამშრომლები ვალდებულები არიან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს შეატყობინონ ნებისმიერ წარმოქმნილ ინციდენტზე მიუხედავად იმისა თუ რამდენად მძიმეა ინციდენტი. ინციდენტის დაფიქსირება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ევალება:

- გამოიძიოს სერიოზული ზიანის ან დაავადების გამომწვევი მიზეზები "ინციდენტის გამოძიების" მეთოდით.
- შეავსეთ "ინციდენტის გამოძიების განაცხადის" ფორმა.

საფრთხის აღმოფხვრა და კონტროლი

სამუშაო გარემოში საფრთხის აღმოფხვრა

„საზოგადოებრივი კოლეჯი ამგი“-ის ადმინისტრაცია მზად არის აღმოფხვრას და აკონტროლოს ყველა სახის საფრთხე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსწავლეების და თანამშრომლების ჯანმრთელობას. ჩვენ მზად ვართ მივიღოთ და შევისწავლოთ ყველანაირი მეთოდი, რომელიც საჭიროა საფრთხის აღმოსაფხვრელად და გავატარებთ ყველანაირ რეგულაციას მის აღმოსაფხვრელად. პრიორიტეტს მივანიჭებთ კოლექტიური დაცვის საშუალებებს, ხოლო ყველაზე ბოლოს საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ პირადი დაცვის აღჭურვილობას.

სტანდარტული უსაფრთხოები წესები

შემდეგი სტანდარტული უსაფრთხოების წესები დაგვებმარება, რომ სასწავლო პროცესი იყოს უფრო უსაფრთხო და სამუშაო უფრო ეფექტურად შესრულდეს. ეს მოთხოვნები გასათვალისწინებელია სამუშაოების შესრულებისას ან როცა რაიმე ხელსაწყოთან გვიწევს მუშაობა.

- სამუშაოს სწრაფად შესრულებისათვის არასოდეს გააკეთოთ ისეთი რამ, რაც თქვენ უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნის. თუ სამუშაო საფრთხის შემცველია, მოახსენეთ ამის შესახებ ხელმძღვანელს. ჩვენ ვიპოვით უსაფრთხო მეთოდს სამუშაოს შესასრულებლად.
- არასოდეს მოიხსნათ ან გამორთოთ უსაფრთხოების აღჭურვილობა! ყოველთვის განსაზღვრეთ დაცვის გზები ნებისმიერ მანქანასთან მუშაობისას.
- არასოდეს არ მართოთ ან გამოიყენოთ აღჭურვილობა/ტექნიკა თუ ინსტრუქტაჟი და ტრენინგი არ გაქვთ გავლილი.
- გამოიყენეთ თქვენი პირადი დაცვის აღჭურვილობა, როცა ამის მცირე საჭიროებაც კი არსებობს.
- დაემორჩილეთ უსაფრთხოების აღმნიშვნელ ყველა ნიშნებს.
- ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულება დაუშვებელია.
- არ შემოიტანოთ ცეცხლსასროლი იარაღი ან ფეთქებადი საშუალება სასწავლო პროცესში.

სამუშაოსთან დაკავშირებული წესები

ჩვენ ჩამოვყალიბეთ სამუშაო გარემოში მუშაობისა და უსაფრთხოების წესები. აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პირადი დაცვის აღჭურვილობის (PPE) გამოყენების მეთოდები.

